განკარგულება:**g-47.47211814**
თარიღი:**30/06/2021**

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N28

2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში პროექტის „სოფელ შუა ამაღლების უდაბნოს მონასტრის უნიკალური პოტენციალის გამოყენება ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში ვიზიტორთა რაოდენობის ზრდისა და ტურიზმის არეალის გაფართოებისათვის“ მოწონების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61– ე მუხლის მე–2 პუნქტის და საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის N628 დადგენილებით დამტკიცებული „2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის“, და „2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 27 მარტის N200 დადგენილების შესაბამისად,

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. 2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში, მოწონებულ იქნეს პროექტი „სოფელ შუა ამაღლების უდაბნოს მონასტრის უნიკალური პოტენციალის გამოყენება ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში ვიზიტორთა რაოდენობის ზრდისა და ტურიზმის არეალის გაფართოებისათვის“.

2. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება 1 თვის ვადაში ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე: ჭავჭავაძის ქ. N4–ში.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ზაალ მამალაძე

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი